

საქართველო



რეპარაციები

მთავრობის მიერ, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა-ოფიციალური განყოფილებით) საქართველოს რესპუბლიკა მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის...

სახელმწიფო თეატრი

ხადდეს ხსენებული რეპერტუარი კვირას 11 იანვარს დილით ქართული საბავშვო თეატრის „გაგილის“ 30 წლის არსებობის იუბილე

ქართული საბავშვო წარმოდგენა

საღამოს დირექტორ კორწონის ბენეფისი „დუბროვსკი“. მონაწილეობენ: ალექსეი, ზალიძე, ამირჯანი, ისკანდერი, საბინინი, პოლიუჟა, დემიანენკო, კურბატოვი და ებროვი. ორშაბათს კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“, სამშაბათს იანვრის 13-ს „ფაუსტი“ ოთხშაბათს ზალიძის ბენეფისი „ფრა-დიავოლო“, ხუთშაბათს ფალიაშვილის ოპერა „ბენსალომ და ეთერი“.

თანხმად მთავრობის 30 დეკემბრის დადგენილებისა სამო სამხარეთველოს სასიხუო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ყველა ოქრო-ვერცხლის ნაწარმობებზე დროებით შემოღებულია შემდეგი სასიხუო გადასახადი.

Table with 2 columns: Item description and Tax rate. Includes items like gold jewelry, silver jewelry, and various metals with their respective tax percentages.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი ბარბის გადასახადი

მძიმე და მზატე (25 ფუტიდან) საბარგო ავტომობილებზე. ოლღას ქ., № 29, ქალაქთა კავშირის სამედიკალინო სახელოსნო, ტელ. 1-60.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დადგენილება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა თავისუფალ მიწების იძულებითი დათვისის შესახებ 1920 წელს. 6 იანვარი, 1920 წ.

1919 წელში პურის მოუსავლობის გამო და მომავალში სურსათის კრიზისის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ სცნობს გამოსცენ შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი: 1. ყველა თავისუფალი მიწა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მესაკუთრისა, რომელიც გამოსადეგია დასათესად გაზაფხულის პირანახული (яровыми культурами) აუცილებლად უნდა დაითესოს 1920 წლისათვის. 2. მიწის მესაკუთრენი ვალდებული არიან დათესონ თავისი მიწები საკუთარი ძალით, ან გასცენ იჯარით. 3. თუ მესაკუთრენი რაიმე მიზეზის გამო არ დათესენ თავის მიწებს, იმ შემთხვევაში ადგილობრივ ერობათა დაწესებულებანი იჯარით გასცემენ აღნიშნულ მიწებს მსურველზე. შემთხვევა: არ უნდა დაითესოს ის მიწები, რომლებიც ადგილობრივ პირობების მიხედვით მუდამ რჩებოდნენ დაუთესავი, როგორც მაგალითად: სათიბენი და საძოვრები, რომელნიც აუცილებლად საჭიროებას წარმოადგენენ ადგილობრივ მეურნეობისათვის. 4. მთელი მოსავალი გაზაფხულის ნათესისა იჯარით გაცემულ მიწებიდან ერგება მოიჯარადრეს ერთი მეათედის გარდა, რომელიც იჯარის სახით ეძლევა მიწის მესაკუთრეს. 5. ამ სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება: ა) საფონდო და კერძო მესაკუთრეთა მიწების შესახებ—სამაზრო

და სათემო ერობებს; ბ) დანარჩენ სახელმწიფო მიწების შესახებ—გადასახდების რაიონების უფროსებს, სახელმწიფო და ეროვნულ მიწების მოურავებს და აგრეთვე ტყის გამგებებს. 6. მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებანი და ერობები ვალდებული არიან შეძლების დაგვარაობა გაუწიონ დახმარება, ვისაც უჭირს, თესლით და სასოფლო სამეურნეო იარაღებით. 7. გაზაფხულის პირანახული დასათეს მიწების კერძო მესაკუთრენი და მოიჯარადრენი, რომელთაც მიიღეს დათესვის ვალდებულება და არ შეასრულეს ერობისაგან დაინიშნულ ვალდებულება, გარდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის პირობების დარღვევისათვის დასჯებიან თანხმად სასჯელთა დებულების მე-29 მუხ. რომელსაც უსჯიან მომრიგებელი მოსამართლენი. ეს სავალდებულო დადგენილება მიღებულია მთავრობის მიერ 6 იანვრის სხდომაზე. მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.

ბ რ კ ა ნ ე გ ა. რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ.

31 დეკემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი. გვთხოვთ რა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, როგორც მათი უშუალო ხელმძღვანელი, ვალდებულად ვსთავი ჩემს თავს გამოვუცხადო ღრმა, გულწრფელი მადლობა ყველა იმ პირთ, რომელნიც მხმარებოდნენ და ხელს მიწყობდნენ ჯარის შექმნა-განმტკიცების ფრიად მძიმე და მეტის-მეტად საპასუხისმგებლო საქმეში. ქართველი ერის განახლებული ცხოვრება და მისი თავისუფლების უზრუნველყოფა მოითხოვდა არსებულ რეგულიარული ჯარის ჩვენი მდგომარეობის მიხედვით გადახალისე-

ბას და მისი საომარ ძლიერების უმაღლეს წერტილამდის აყვანას. აუცილებელი გახდა ჯარის რეორგანიზაციის ცხოვრებაში გატარება, ჯარის ყოველ ნაწილებში კულტურული მუშაობის გაჩაღება და სამხედრო მზადყოფნის გარდაცემული ენერჯითი მომზადება. მძიმე და ძნელი იყო ყოველივე ამის მიზანშეწონილად შესრულება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძღვენილი ვიყავით გვემოქმედნა ირგვლივ შემოსეულ გარეშე მტრებისა და ბნელი ძალებით მოწყობილ შინაურ არეულობის წინააღმდეგ, ჯარმა სახელოვანად სძლია ყოველივე ამის და დაასრულა თავისი მოწყობა-გადახალისება: დღეს ჯარის ყველა ნაწილები უკვე მოთავსებულია თავიანთ მუდმივ ბინებში და აწარმოებს სისტემატიურად გაძლიერებულ სამხედრო და კულტურულ მუშაობას. ყველა ამ სიძნელესთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეგულიარული ჯარი საცხებით შეუსისხლობდა რევოლუციის მონაპოვართა ნამდვილ დარაჯს—სახალხო გვარდიას და ამით სამუდამოთ მოესპო საშუალება ყველა პროვოკატორს ქართველი ერის ცხოვრების საწინააღმდეგო მუშაობის წარმოებისა. და ყოველივე ამ აღნიშნულ სიძნელეთა გადალახვა და მიწე საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ოფიცრების თავდადებულ მუშაობა-ენერჯითი და ჯარის კაცთა ჩიერ თავიანთ მოვალეობის სრული შეგნებითა და სიყვარულით ასრულებით. კერძო უღრმეს მადლობას ვსწირავ სამხედრო სხალხო გვარდიას და მის ხელმძღვანელთ, რომლებმაც დემოკრატიისა და თავი-

სუფლებისათვის უწყვეტად და განუსაზღვრელ სამსახურის მაგალითის მოცემით და ყოველმხრივი დახმარებით ხელი შეგვიწყო ჩვენს მძიმე მუშაობაში. აგრეთვე მთელი გრძობით ვემშვიდობები იმ ძვირფას და ერთგულ ჯარის ნაწილებს, რომლებიც დღეს იმყოფებიან ფრონტზე და, მიუხედავად ყოველგვარ გაჭირვებისა, სისხლით იცავენ ულმობელ მტრებისაგან ჩვენი ერის არსებობა-დამოუკიდებლობას და მის დიდ თავისუფლებას. ვსთავებ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობას ვუძღვნი ყველა ჩვენს, შტაბ და ობერ-ოფიცრებს და ჯარის კაცთ მათი რესპუბლიკის საქეთილდღეობა მუშაობა-მოქმედებისათვის. ამავე დროს ბედნიერად ვგაძნობ თავს, რომ მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს მომავალში უფრო მეტი საშუალება მექნება მთელი თავისი ენერჯითი ხელი შეგვიწყო ჯარის შეგნებას და შინაური მდგომარეობის განახლებით საომარ ასპარეზზე ყოფნის დროს ჯარის ზურგის განმტკიცებას და მისი გამარჯვების გადავიღებას. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში სრულიად გაფოლადდება რეგულიარული ჯარი, ის გახდება რესპუბლიკის სურვილი უფლებათა ნამდვილი დარაჯი და სახალხო გვარდიასთან ერთად გადალახავს ყოველივე დამარჯობების და შესძლებს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და მისი საზღვრების დაცვას. სამხედრო მინისტრი ნ. ჩამიშვილი.

დამატება № 3.

შ ს ა ს ი საქართველოს მისიისა ქ. ერევანში 1919 წ. დეკემბრის 1-დან 1920 წ. ივნისის 1-მდე.

Table with 5 columns: No. of items, Description, and four columns for quantities (ეროს., ყველოს., ეროს., ყველოს.). Lists various goods and their amounts.

1919 წ. დეკემბრის 23-ს. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორღანიძე.





